ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №72

2014 წლის 25 ივნისი,
ქ. ბათუმი

პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვისა და აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 2014-2015 სასწავლო წლისათვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვა და აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვროს **დანართი 1**-ის შესაბამისად;
2. 2014-2015 სასწავლო წლისათვის პროფესორ-მასწავლებელთა სწავლების პირველი საფეხურისა და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სააუდიტორიო დატვირთვები მომზადდეს 2014 წლის 18 ივლისამდე, ხოლო სწავლების მეორე და მესამე საფეხურის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სააუდიტორიო დატვირთვები მომზადდეს არაუგვიანეს 2014 წლის 10 ოქტომბრისა;
3. საჭიროების შემთხვევაში 2014-2015 სასწავლო წლისათვის პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვებში ცვილილებები განხორციელდეს შესაბამის საფეხურზე სასწავლო სემესრტის დაწყებიდან არაუმეტეს სამი კვირის განმავლობაში, გარდა გარდაუვალი აუცილებლობისა აკადემირი საბჭოს თანხმობით;
4. „პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვისა და აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი'' დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
5. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი „პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვისა და აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 7 ივნისის №57 დადგენილება;
6. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვისა და აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში "უნივერსიტეტი") სასწავლო-სამეცნიერო პროცესი წარიმართება აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პროფესორების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი) მონაწილეობით. აუცილებლობის შემთხვევაში ხდება სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომელთა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკული დარგის სპეციალისტების მოწვევაც. მათი მოწვევის შესახებ ბრძანებას ფაკულტეტის დეკანის (შესაბამისი პროგრამული მიმართულებისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით) წარდგინების საფუძველზე გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი;

2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა (სააუდიტორიო და არასააუდიტორიო) ერთ საშტატო განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 1500 საათს.

3. საშტატო ერთეულის სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა შეადგენს:

- პროფესორისათვის - 250 საათს;
- ასოცირებული პროფესორისათვის - 300 საათს;
- ასისტენტ პროფესორისათვის - 320 საათს;
- ასისტენტი - 350 საათს.

4. იმ აკადემიური პერსონალის სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა, რომელიც ატარებს მეცადინეობებს საბაკალავრო პროგრამებზე მცირერიცხოვან ჯგუფებში (სტუდენტთა რაოდენობა 10 და ნაკლები), განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

- პროფესორისათვის - 250-დან 300 საათამდე;
- ასოცირებული პროფესორისათვის - 300-დან 350 საათამდე;
- ასისტენტ პროფესორისათვის - 320-დან 370 საათამდე;
- ასისტენტი - 350-დან 400 საათამდე.

5. საშტატო ერთეულის სავალდებულო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტებია:

5.1. სალექციო, პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა, სემინარული და ლაბორატორიული სამუშაო (სწავლების პირველ საფეხურზე) – ერთი სააუდიტორიო შეხვედრა ერთი საათი;

5.2. საველე-სასწავლო/საწარმოო/პედაგოგიური პრაქტიკა – საათების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო გეგმების შესაბამისად;

6. საშტატო ერთეულის სავალდებულო არასააუდიტორიო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტებია:

6.1. მზადება ლექციისათვის - 1 ლექცია - 3 საათი;

6.2. მზადება პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობისათვის, ჯგუფში მუშაობისათვის, კურაციისათვის - 1 მეცადინეობა - 2 საათი;

6.3. კონსულტაცია სტუდენტთათვის - ერთ აკადემიურ შტატზე კვირაში 4 საათი;

6.4. უწყისის/ჟურნალის წარმოება - 1 ჯგუფზე - 2 საათი;

6.5. სტუდენტის შეფასება (რეიტინგული, საგამოცდო) – 1 სტუდენტზე 1 საათი სემესტრში;

6.6. რეიტინგული შეფასების/საგამოცდო საკითხების მომზადება - 100 საკითხი - 10 საათი;

6.7. რეიტინგული შეფასების/ საგამოცდო ტესტების მომზადება -100 ტესტი - 25 საათი;

6.8. სილაბუსის შედგენა/სრულყოფა - 1 სილაბუსი - 50 საათი;

6.9. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა - 1 პროგრამა - 50 საათი;

6.10. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება - 1 პროგრამა - 100 საათი;

6.11. კურატორობა – ერთ ჯგუფზე სასწავლო წლის განმავლობაში - 50 საათი;

6.12. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა – 1 ნაშრომი - 30 საათი (აქედან საათობრივი ანაზღაურების წესით ანაზღაურდეს 10 საათი);

6.13. სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა - 1 თემა - 10 საათი;

6.14. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა – სასწავლო წლის განმავლობაში - 50 საათი;

6.15. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 1 ნაშრომი - 10 საათი;

6.16. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა სწავლების მეორე წლიდან განისაზღვროს - 1 ნაშრომი - 50 საათით (აქედან საათობრივი ანაზღაურების წესით ანაზღაურდეს 20 საათი);

6.17. სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება - 1 ნაშრომი 20 საათი;

6.18. დოქტორანტის ხელმძღვანელობა - 150 საათი, სწავლების თითოეული წლისათვის 50 საათი. (აქედან საათობრივი ანაზღაურების წესით სწავლების პირველი წლისათვის ანაზღაურდეს 20 საათი, მეორე და მესამე წლისათვის - 40-40 საათი);

6.19. სადოქტორო პროგრამებზე სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ნაწილები:

ა) სემინარი დარგში, სემინარი ქვედარგში - 10 კრედიტის შემთხვევაში - 1 სტუდენტი 10 საათი, 5 კრედიტის შემთხვევაში - 1 სტუდენტი - 5 საათი;

ბ) ლექცია/პრაქტიკულები - 1 მეცადინეობა - 1 საათი

6.20.ახალი სალექციო კურსის მომზადება - ერთი 5 კრედიტიანი სალექციო კურსი - 250 საათი;

6.21. სახელმძღვანელოს თარგმნა - 1 გვერდი - 1,5 საათი;

6.22. სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება - ერთი სახელმძღვანელო/ მონოგრაფია - 30 საათი;

6.23. სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რედაქტორობა - ერთი სახელმძღვანელო/ მონოგრაფია 40 საათი;

6.24. მონოგრაფიის ან სახელმძღვანელოს მომზადება - 1 გვერდი - 2 საათი;

6.25 სამეცნიერო სემინარზე მონაწილეობა (მინიმუმ თვეში ერთჯერ) - 1 სემინარი - 1 საათი (სავალდებულოა პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისათვის);

6.26 სამენიერო სემინარზე მოხსენების გაკეთება - 1 მოხსენება - 20 საათი (სავალდებულოა პროფესორებისათვის);

6.27. სამეცნიერო სტატიის მომზადება - 30 საათი;

6.28. საკონფერენციო თემის მომზადება - 20 საათი;

6.29. სამეცნიერო კონფერენციის/ სემინარის/სიმპოზიუმის/კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა - 20 საათი;

6.30. საპატენტო განაცხადის მომზადება/წარდგენა -30 საათი;

6.31. საგრანტო განაცხადის მომზადება/წარდგენა - 50 საათი;

6.32. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა - 30 საათი;

6.33. აკადემიური საბჭოს წევრობა - 50 საათი;

6.34. სადისერტაციო საბჭოს წევრობა - 1 სხდომა - 3 საათი;

6.35. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებში მონაწილეობა - 1 სხდომა - 2 საათი;

6.36. დეპარტამენტის სხდომებში მონაწილეობა - 1 სხდომა - 1 საათი;

6.37. რედკოლეგიის წევრობა - 10 საათი;.

6.38. კურიკულუმის კომიტეტის წევრობა - 1 სხდომა - 2 საათი.

6.39. სხვა (წინამდებარე წესით გაუთვალისწინებელი) საუნივერსიტეტო აქტივობა - საათების სავარაუდო რაოდენობა გონივრულ ფარგლებში;

7. პროფესიულ და უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურზე, აკადემიური დატვირთვა (სასწავლო კომპონენტი), ასევე სტუდენტთა განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლებ ჯგუფებში (როგორც ძირითად, ისე დამატებით სპეციალობაზე, არჩევით სასწავლო კურსში/მოდულში, სტუდენტის მიერ განმეორებითი კურსის გავლის შემთხვევაში) პროფესორ–მასწავლებელთა **აკადემიური დატვირთვის განსაზღვრა დარეგულირდეს რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე;**

8.პროფესიულ და უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურზე პედაგოგიური დატვირთვა (სასწავლო კომპონენტი) ანაზღაურდეს მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით;

9. ემერიტუსები, სურვილის შემთხვევაში, დაიტვირთონ მხოლოდ უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურზე. ემერიტუსის მიერ შესრულებული სამუშაო (სალექციო, პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა, სემინარული და ლაბორატორიული სამუშაო) **ანაზღაურდეს საათობრივი ანაზღაურების წესით (გარდა ბსუ–ს წესდების 62–ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);**

10. მოწვეულ პროფესორთა და მეცნიერ-თანამშრომელთა დატვირთვა და ანაზღაურების წესი განისაზღვრება ინდივიდუალური ხელშეკრულებით;

11. დასაშვებია ერთი პიროვნების მიერ ერთდროულად არაუმეტეს 3 დოქტორანტისა და 2 მაგისტრანტის ან ერთდროულად 5 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა სასწავლო წლის განმავლობაში;

12. როგორც დოქტორანტს, ისე მაგისტრანტს შეიძლება უხელმძღვანელოს პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა, აგრეთვე სამეცნიერო თანამდებობის

მქონე დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირმა;

13. აკადემიურ პირს არასააუდიტორიო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტები შესრულებულად ჩაეთვლება მხოლოდ შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის სხდომის დადგენილების საფუძველზე.

14. პუნქტებით - 6.21, 6.22, 6.25 გათვალისწინებული კომპონენტები შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

15. უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს:

15.1. ლექცია – არა უმეტეს 60 სტუდენტისა;

15.2. საბუნებისმეტყველო, ექსპერიმენტულ, კომპიუტერულ და ტექნიკურ მეცნიერებებში ლაბორატორიული, უცხოურ ენებში პრაქტიკული მეცადინეობა – არა უმეტეს 20 სტუდენტისა;

15.3. ჯანდაცვის სპეციალობების კლინიკურ დისციპლინებში პრაქტიკული მეცადინეობა (კურაცია) – არაუმეტეს 15 სტუდენტის;

15.4. სხვა დანარჩენი სპეციალობების პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობა, ჯგუფში მუშაობა – არაუმეტეს 30 სტუდენტის;

15.5. სხვადასხვა სახის პრაქტიკების დროს ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სასწავლო ჯგუფში პრაქტიკული მეცადინეობისათვის დადგენილ რაოდენობას. გარდა პედაგოგიური პრაქტიკისა, სადაც ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25-ს.

15.6. დამატებითი სპეციალობაზე, არჩევით სასწავლო კურსში/მოდულში ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ძირითად სასწავლო ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობას ამ წესის 15.1, 15.2, 15.4 ქვეპუნქტების მიხედვით.

16. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს – არანაკლებ 20 სტუდენტისა;

17. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს - არანაკლებ 5 სტუდენტისა;

18. წინამდებარე ნორმატივებში ცვლილების შეტანა შესაძლებელია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობის საფუძველზე.